



დისკუსია ვიდეო მასალაზე  
გზამკვლევი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისთვის

სადისკუსიო გზამკვლევი Amaze ანიმაციური ვიდეო რესურსის გამოყენებით

**ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან**  
სადისკუსიო გზამკვლევი თარგმნილია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის რესურსიდან და ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI-ის მიერ



## გზამკვლევის შესახებ

ვიდეომასალაზე დისკუსიის წინამდებარე გზამკვლევი ერთ-ერთია იმ ნაკრებიდან, რომელიც მოიცავს სხვადასხვა თემაზე შექმნილ ვიდეომასალაზე დისკუსიასთან დაკავშირებულ ექვს გზამკვლევს და რომლებიც განკუთვნილია თანატოლგანმანათლებლების მიერ წარმართული შეხვედრებისათვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მოზარდების განათლების მიზნით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

ნაკრებში შემავალი თითოეული გზამკვლევი მოიცავს „AMAZE“-ის საგანმანათლებლო ხასიათის ვიდეომასალას, რომელიც ეხება კონკრეტულ თემას, და რომლის ჩართვაც შესაძლებელია ახალგაზრდებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით შემუშავებულ გაკვეთილის გეგმებში ან მათი გამოყენება შესაძლებელია დამატებითი რესურსის სახით. თითოეული გზამკვლევი მოიცავს შესავალს, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ვიდეომასალის თემა, ვიდეომასალის ჩვენებასა და მის შემდგომ გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, სადისკუსიო და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის) განკუთვნილ კითხვებსა და არჩევით აქტივობასა და/ან ტესტს.

amaze

# ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან



## ამოცანა:

ახალგაზრდების ინფორმირება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის, მათ შორის ამგვარი ძალადობის სახეებისა და ნიშნების შესახებ, „AMAZE“-ის ამ თემაზე შექმნილი ვიდეოს გამოყენებითა და შესაბამისი დისკუსიისა და თემის გააზრების (რეფლექსიის) ხელშეწყობით.



## იტაპები:

შემაჯამებელი დასკვნები (5 წუთი)

თემის გაცნობა (5 წუთი)



„AMAZE“-ის ვიდეოს ჩვენება (4 წუთი)

არჩევითი აქტივობა (10 წუთი)

დისკუსია და თემის გააზრება (რეფლექსია) (15 წუთი)

## შინიშნა:

ეტაპების ხანგრძლივობა მითითებულია პირობითად.



## სამიზნე აუდიტორია:

10 - 18 წლის მოზარდები



## ხანგრძლივობა:

30 - 40 წუთი



## დამატებითი მასალები:

- ვიდეოს ბმული: [https://youtu.be/wJvx3pit2cw?si=Pexcen16\\_BUjwL1W](https://youtu.be/wJvx3pit2cw?si=Pexcen16_BUjwL1W)

სომხურ ენაზე: <https://youtu.be/OvneeCqqaI?si=6VH35A769F1X9eIr>

აზერბაიჯანულ ენაზე: [https://youtu.be/ElbdAAAnQEQE?si=raw0V6e5\\_kmrE6ic](https://youtu.be/ElbdAAAnQEQE?si=raw0V6e5_kmrE6ic)

მოზარდებთან პირისპირ მუშაობისას, დაგჭირდებათ:

- ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ხმის გამაძლიერებელი
- LCD პროექტორი და ეკრანი ან მაგიდა კომპიუტერისთვის
- წებოვანი ფურცლები, ფლიფარტის დაფა დიდი ფორმატის ფურცლებით
- ფერადი ფანქრები დისკუსიისა და თემის გააზრებისთვის

მოზარდებთან დისტანციურად მუშაობისთვის, დაგჭირდებათ:

- წვდომა „Zoom“-სა ან „Google Meet“-ზე
- „Google“-ის ინსტრუმენტი - „Jamboard“-ი დისკუსიისა და თემის გააზრებისთვის



## შესავალი

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა, რომელსაც ხანდახან "მოზარდებს შორის ძალადობას" ან "ოჯახში ძალადობას" უწოდებენ, გულისხმობს ერთი ადამიანის მიერ გამოვლენილ ქცევას, რომელიც მასთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი მისი პარტნიორის შეზღუდვას და კონტროლს ემსახურება. ინტიმურ ურთიერთობაში შეიძლება იმყოფებოდნენ შეყვარებულები, რომანტიკული პარტნიორები ან ცოლ-ქმარი. ახლა, მოდით ვნახოთ „AMAZE“-ის ამ თემაზე შექმნილი ვიდეო, რათა მეტი შევიტყოთ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ.



## სადისკუსიო და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის) განკუთვნილი კითხვები:

ვიდეოს ჩვენების შემდეგ შეუდექით თემის განხილვას და მოსწავლეები დისკუსიაში ჩართეთ შემდეგი კითხვების გამოყენებით. დისკუსია წარმართეთ ხელმისაწვდომი დროის გათვალისწინებით და გამოყავით პრიორიტეტული კითხვები, რომელთა განხილვაც გსურთ.

1. რას ფიქრობთ ვიდეოზე? როგორი იყო თქვენი თავდაპირველი რეაქცია?
2. რამდენად ადვილი ან რთული შეიძლება აღმოჩნდეს იმის გარკვევა პარტნიორის მიერ გამოვლენილი ქცევა წარმოადგენს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას თუ ზრუნვას? როგორ არის შესაძლებელი მათი ერთმანეთისგან გარჩევა?
3. წაკითხეთ ქვემოთ მოცემული სიტუაცია და დაუსვით კითხვა მონაწილეებს: როგორ ფიქრობენ, პირი ზრუნავს მის პარტნიორზე თუ მის კონტროლს ცდილობს, და რატომ?  
ჩემი პარტნიორი გამუდმებით მიგზავნის შეტყობინებებს, რათა გარკვიოს, სად ვარ და რას ვაკეთებ. ის ხანდახან ცოტა ღელავს კიდეც, თუ პასუხის გაცემას ვაგვიანებ. ვფიქრობ, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ნამდვილად მოვწინვარ, მაგრამ დედაჩემი ფიქრობს, რომ ეს არ არის კარგი საქციელი. რა არის იმაში ცუდი, თუ მას სურს იცოდეს სად ვარ?
4. ვიდეოს ნახვის შემდეგ, ხომ არ გაგახსენდათ წიგნში ამოკითხული ან ფილმში ნანახი რომელიმე კონკრეტული სიტუაცია? რა შეიძლება მოვიმოქმედოთ იმისთვის, რათა მსოფლიოში შემცირდეს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევები?
5. რა ძირითად დასკვნებს გამოიტანდით ნანახი ვიდეომასალიდან და ვიდეომასალაში გამოკვეთილ თემაზე წარმოებული დისკუსიიდან?

## შენიშვნა:

გამოხატეთ მადლიერება მონაწილეთა მიმართ, დისკუსიაში მათ მიერ შეტანილი წვლილისთვის, თუმცა, თუ მონაწილეთა შორის არიან პირები, რომლებსაც არ სურთ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება და საუბარი, ნუ აიძულებთ მათ გააკეთონ ის, რაც არ სურთ. შეგიძლიათ მოსწავლეებს სთხოვოთ წებოვანი ფურცლების ან „Google Jamboard“-ის გამოყენება, რაც მათ საკუთარი მოსაზრებების ანონიმურად გამოთქმის შესაძლებლობას მისცემს.

## გაითვალისწინეთ!

- პატივი ეცით მონაწილეთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს
- იყავით აქტიური მსმენელი
- გამოიყენეთ ინკლუზიური და გენდერულად ნეიტრალური ტერმინები
- ყველას მიეცით საშუალება უპასუხოთ კითხვებს და საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ თანატოლებს
- გაახსენეთ მონაწილეებს, რომ აუცილებელია პატივი სცენს სხვებს და ყურადღებით მოუსმინონ მათ

## შენიშვნა

### თანატოლგანმანათლებლებისთვის

- გახსოვდეთ, რომ დისკუსიაში მონაწილეობა ზოგიერთი მონაწილისთვის შეიძლება მატრამვირებელი აღმოჩნდეს. ზოგიერთი მათგანს შესაძლოა ჰქონდეს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილება. შეხვედრის დაწყებამდე აცნობეთ მათ, რომ შეუძლიათ გაგესაუბრონ, შეხვედრის დასრულების შემდეგ, და მზად იყავით იმისთვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ურჩიოთ მათ ფსიქოლოგთან კონსულტაცია ან ჯანდაცვის მომსახურების მიღება.
- მნიშვნელოვანია არ მოხდეს მონაწილეთა წახალისება ჯგუფში საკუთარი ისტორიებისა და პირადი გამოცდილების გაზიარებისთვის.
- მოერიდეთ ნებისმიერი დასკვნის გაკეთებას, მონაწილეთა პირადი ურთიერთობების შესახებ.
- ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ მონაწილეთა რეაქციებს და იზრუნეთ მათ ჩართულობაზე, შეხვედრის მსვლელობისას, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანეთ კორექტირება კითხვებსა ან აქტივობებში.
- ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ მონაწილეთა განსაკუთრებულ საჭიროებებს. ზოგიერთი მონაწილე შეიძლება საჭიროებდეს განსაკუთრებულ გარემოს, დისკუსიებსა ან აქტივობებში ჩართვისთვის. მაგალითად, შეგიძლიათ მთავრად ფიზიკური სივრცე გადაადგილების შეზღუდვის მქონე მონაწილეების საჭიროებებს, ან კორექტირება შეიტანოთ აქტივობაში, რათა მონაწილეებს ნაკლებად დასჭირდეთ გადაადგილება.





### არჩევითი აქტივობა:

მოცემული აქტივობა საშუალებას აძლევს მონაწილეებს, ინტერაქტიული გზით, უკეთ გაიაზრონ ვიდეომასალიდან მიღებული ინფორმაცია.

გააფრთხილეთ მონაწილეები მოემზადონ კულინარიული კონკურსის ჩასატარებლად, რომელიც ჯანსაღი ურთიერთობის კერძის მომზადებას ისახავს მიზნად. მონაწილეებს შესთავაზეთ წარმოიდგინონ, რომ ისინი სწრაფი კვების ობიექტზე მუშაობენ. დაყავით მონაწილეები მზარეულების ორ გუნდად და სთხოვეთ ორ მოხალისეს, რომლებიც არც ერთ გუნდში იქნებიან წარმოდგენილი, ჟიურის ფუნქცია იკისრონ. სთხოვეთ მონაწილეებს დაფიქრდნენ „ჯანსაღ ურთიერთობაზე“, როგორც კერძზე, რომელიც მათ ძალიან სწრაფად უნდა მოამზადონ. თუ აქტივობას ახორციელებთ დისტანციურად, განათავსეთ ჯგუფები ცალ-ცალკე „ოთახებში“.

სთხოვეთ მზარეულებს შეადგინონ ძირითადი ინგრედიენტების ჩამონათვალი და დაადგინონ მათი დოზები, რომლებიც საჭირო იქნება ჯანსაღი ურთიერთობის კერძის მოსამზადებლად. დაუსვით მონაწილეებს შემდეგი ტიპის კითხვები: „რა ძირითად ინგრედიენტებს გამოიყენებდით ამ კერძში?“ შეახსენეთ მონაწილეებს, რომ ინგრედიენტების შერჩევასა, უმჯობესია იყვნენ რეალისტები: მაგალითად, კარგი იქნება, თუ კერძს დაამატებენ რეალურ ადამიანურ ემოციებს, როგორცაა ექვიანობა ან ბრაზი, თუ ისინი ამავე დროს იყენებენ ისეთ ინგრედიენტებს, როგორცაა ჯანსაღი კომუნიკაცია და საზღვრები, ამ ემოციებზე რეაგირებისთვის.

ხუთწუთიანი დისკუსიის შემდეგ თითოეული გუნდი და ჟიური ერთად განაგრძობს მუშაობას და თითოეული გუნდის წარმომადგენელი წარუდგენს მისი გუნდის მიერ შემუშავებულ რეცეპტს ჟიურის. შემდეგ, ჟიური გამოავლენს გამარჯვებულ გუნდს და განმარტავს რატომ შეარჩია ამ გუნდის მიერ მომზადებული კერძი.

ძალადობა გადაუხადეთ მონაწილეებს ამ აქტივობაში ჩართულობისთვის და შესთავაზეთ მათ გაანალიზონ და უკეთ გააცნობიერონ აქტივობის დანიშნულება, ისეთი კითხვების დასმით, როგორიცაა:

1. „რას ფიქრობთ მზარეულები ჯანსაღი ურთიერთობის კერძის მომზადებაზე?“ ან „რას ფიქრობთ ჟიურის წევრები ჯანსაღი ურთიერთობის კერძის შეფასებაზე?“.
2. რა მსგავსება ან განსხვავება იყო გუნდების მიერ მომზადებულ კერძებს შორის?
3. რა დასკვნების გამოტანა არის შესაძლებელი ამ კულინარიული კონკურსიდან?



### ძირითადი დასკვნები:

დაასრულეთ შეხვედრა მონაწილეებისათვის ქვემოთ მოცემული ძირითადი შემაჯამებელი დასკვნების გაზიარებით:

როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთთან ურთიერთობს, მათ პატივი უნდა სცენ ერთმანეთის საზღვრებს და მოითხოვონ და მიიღონ თანხმობა ნებისმიერ სექსუალურ ქცევაზე. ჯანსაღი ურთიერთობის დასამყარებლად, აუცილებელია იცოდეთ თქვენი საზღვრები, განაცხადოთ ან მიიღოთ თანხმობა და თქვენს ურთიერთობას საფუძვლად დაუდოთ სიყვარული, გულახდილობა, ნდობა და პატივისცემა. მნიშვნელოვანია ვფლობდეთ ცოდნას ჯანსაღი ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლების შესახებ, რათა უკეთ შევძლოთ იმის განსაზღვრა, თუ როდის არის ურთიერთობა არაჯანსაღი და ერთმანეთისგან განვასხვავოთ ჯანსაღი და არაჯანსაღი ურთიერთობები, მაგალითად, კონტროლი არ მივიჩნიოთ სიყვარულის გამოხატულებად.

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა არ არის აუცილებელი იყოს ფიზიკური და მოიცავდეს დარტყმას, მუშტის ან წიხლის კვრას, არამედ ასევე შეიძლება მოიცავდეს პარტნიორის ადევნებას, თვალთვალს, ყველგან თან გაყოლას, სადმე წასვლაზე უარის თქმას, ქცევის კონტროლს, ან პირად შევიწროვებას ან სატელეფონო გზავნილებით, ელ.გზავნილებითა ან პოსტებით შევიწროვებას. პარტნიორის სქესობრივ ურთიერთობაში ჩართვის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალურ ძალადობად მიიჩნევა.

თუ ვინმეს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავენ, უყვირიან, ამცირებენ, მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენ, რეალობის აღქმის დამახინჯების მიზნით, ან მიუთითებენ, რისი გაკეთების უფლება აქვს და რისი არა, იგი ემოციური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლს წარმოადგენს. ასევე არსებობს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის სხვა ფორმაც, რა დროსაც ინტიმური პარტნიორი აკონტროლებს პარტნიორის ფინანსებზე წვდომას, რაც ეკონომიკური ძალადობის სახელით არის ცნობილი.

გახსოვდეთ, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის ნებისმიერი ფორმა შეიძლება იყოს ერთჯერადი ან განმეორებითი ხასიათის - ეს უკანასკნელი არის ის, რასაც ჩვენ ზოგადად "შევიწებებას" ვუწოდებთ, თუმცა მიუღებელია ერთჯერადი ძალადობაც. თუ იცნობთ ვინმეს, ვინც ამჟამად განიცდის ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას ან წარსულში ამგვარი ძალადობის გამოცდილება აქვს, არასოდეს დაადანაშაულოთ ძალადობის მსხვერპლი. თქვენ შეგძლიათ შესთავაზოთ მას უსაფრთხო სივრცე, მოუსმინოთ მას და ურჩიოთ მას რჩევისთვის და დახმარებისთვის მიმართოს უფროსი ასაკის სანდო პირს..

ავტორები:აკარშა ჯაგა,  
დანგ ჰუნგი გიანგი  
(WeGrow-ის წევრი) და  
ნაურა ჰარიანტო  
ქართულ ენაზე  
ადაპტირებულია  
ასოციაცია HERA XXI-  
ის მიერ

**შევიწროება** - ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანისთვის განზრახ ზიანის მიყენებას. როდესაც ვინმე ავიწროებს სხვა ადამიანს, ეს ნიშნავს, რომ ის ცდილობს სხვა ადამიანის გაკონტროლებას ძალადობრივი გზით.<sup>1</sup>

**საზღვრები** - საზღვრები და წესები, რომლებიც ადამიანს შეუძლია დააწესოს ურთიერთობებში. ჯანსაღი საზღვრების მქონე ადამიანს შეუძლია, სურვილისამებრ, უარი უთხრას სხვას, თუმცა ასევე კომფორტულად გრძნობს თავს ინტიმურ და ახლო ურთიერთობებში.<sup>2</sup>

**თანხმობა** - როდესაც ადამიანები კონკრეტულ აქტივობაში ჩართვისა ან კონკრეტული ქცევის განხორციელებისთვის გამოხატავენ მზადყოფნას, სიტყვიერი თანხმობით, მაგალითად შემდეგი სიტყვებით „დიახ, ეს ჩემთვის მისაღებია“, ან არავერბალური ქესტებით, როგორცაა თავის დაქნევა, ქესტების ენით ან წერილობით.<sup>3</sup>

**ემოციური შევიწროება** - ქცევა, რომლის დროსაც მოძალადე შეურაცხყოფს, ამცირებს და ზოგადად შიშს უნერგავს ინდივიდს, მისი კონტროლის მიზნით. ინდივიდს შეიძლება განუვითარდეს რეალობის დამახინჯებული აღქმა, რადგან იგი ძალადობის მიზეზად საკუთარ წარუმატებლობას მიიჩნევს.<sup>4</sup> იგი მოიცავს პიროვნების თვითშეფასების შელახვას მუდმივი კრიტიკით; პიროვნების შესაძლებლობების დაკნინებას; შეურაცხყოფელი სიტყვებით მიმართვას ან სხვა სიტყვიერ შეურაცხყოფას; ოჯახის წევრებთან პარტნიორის ურთიერთობის გაფუჭებას; ან პარტნიორისთვის მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლების შეზღუდვას.<sup>5</sup>

**ფსიქოლოგიური შევიწროება** - ფსიქოლოგიური მანიპულაციის ფორმა, რომლის დროსაც მოძალადე ცდილობს მსხვერპლს შთაუნერგოს საკუთარი თავისადმი ეჭვი და დაბნეულობა. როგორც წესი, პირები, რომლებიც ფსიქოლოგიურ შევიწროებას ახორციელებენ, ცდილობენ მოიპოვონ ძალაუფლება და კონტროლი სხვა ადამიანზე, მათ მიერ რეალობის აღქმის დამახინჯებით და აიძულებენ მათ, ეჭვქვეშ დააყენონ საკუთარი განსჯის უნარი და ინტუიცია.<sup>6</sup>

**ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა** - ქცევა, რომელიც ემსახურება ინტიმურ პარტნიორზე საკუთარი ძალაუფლების თავსმოხვევასა და მასზე კონტროლის მოპოვებას ან შენარჩუნებას.<sup>7</sup> ის ემსახურება მსხვერპლისათვის ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებას, და მოიცავს ინტიმური პარტნიორის მიმართ ფიზიკური აგრესიის გამოვლენას, სექსუალურ იძულებას, ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას და მაკონტროლებელ ქცევებს.<sup>8</sup>

**ფიზიკური შევიწროება** - პარტნიორისთვის ზიანის მიყენების მცდელობა დარტყმით, წიხლით, დაწვით, ჩქმეტით, ხელის ბიძგებით, სილის გაწვით, თმის მოქაჩვით, კბენით, სამედიცინო დახმარების ძიებაზე უარის თქმით ან ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკების მოხმარების იძულებით, ან სხვა ფიზიკური ძალის გამოყენებით.<sup>9</sup>

<sup>1</sup> Tracy, N. (2021, December 17). What Is Abuse? Abuse Definition, HealthyPlace. [რა არის ძალადობა? ძალადობის განმარტება] <https://www.healthyplace.com/abuse/abuse-information/what-is-abuse-abuse-definition>

<sup>2</sup> What are personal boundaries? - University of California, Berkeley. (n.d.). [რას წარმოადგენს პიროვნების საზღვრები] [https://uhs.berkeley.edu/sites/default/files/relationships\\_personal\\_boundaries.pdf](https://uhs.berkeley.edu/sites/default/files/relationships_personal_boundaries.pdf)

<sup>3</sup> Sweeney, E. (2020, August 5). A brief guide to consenting with a nonverbal partner. Scarleteen. [არავერბალური თანხმობის გზამკვლევი] [https://www.scarleteen.com/article/disability\\_relationships\\_sexuality/a\\_brief\\_guide\\_to\\_consenting\\_with\\_a\\_nonverbal\\_partner](https://www.scarleteen.com/article/disability_relationships_sexuality/a_brief_guide_to_consenting_with_a_nonverbal_partner)

<sup>4</sup> Sussex Publishers. (n.d.). Emotional abuse. Psychology Today. [ემოციური ძალადობა] <https://www.psychologytoday.com/us/basics/emotional-abuse>

<sup>5</sup> United Nations. (n.d.). What is domestic abuse? United Nations. [რა არის ოჯახში ძალადობა?] <https://www.un.org/en/coronavirus/what-is-domestic-abuse>

<sup>6</sup> How to tell if someone is gaslighting you. Newport Institute. (2022, May 4). [როგორ უნდა მივხვდეთ, ვართ თუ არა ფსიქოლოგიური შევიწროების მსხვერპლი] [https://www.newportinstitute.com/resources/mental-health/what\\_is\\_gaslighting\\_abuse/](https://www.newportinstitute.com/resources/mental-health/what_is_gaslighting_abuse/)

<sup>7</sup> United Nations. (n.d.). What is domestic abuse? United Nations. [რა არის ოჯახში ძალადობა?] <https://www.un.org/en/coronavirus/what-is-domestic-abuse>

<sup>8</sup> World Health Organization. (n.d.). Violence against women. World Health Organization. [ქალების მიმართ ძალადობა] <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women#:~:text=1,psychological%20abuse%20and%20controlling%20behaviours.>

<sup>9</sup> World Health Organization. (n.d.). Violence against women. World Health Organization. [ქალების მიმართ ძალადობა] <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women#:~:text=1,psychological%20abuse%20and%20controlling%20behaviours.>

# KAHOOT

## ტესტი

ონლაინ თამაშზე დაფუძნებულ სასწავლო პლატფორმასთან „Kahoot“ პარტნიორობით, „AMAZE“-მა შეიმუშავა ტესტების სერია, რომელიც ემსახურება მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრების წახალისებას და საინტერესო სასწავლო გამოცდილების შექმნას. შეხვედრის დასასრულს, თანატოლგანმანათლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მონაწილეებს „Kahoot“-ის პლატფორმაზე „AMAZE“-ის ტესტების შევსება (როგორც პირისპირ ასევე დისტანციურად გამართული შეხვედრის დროს); ამ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად მოზარდებს შეუძლიათ ისარგებლონ საკუთარი სმარტფონებით, პლანშეტებით ან კომპიუტერებით.

სასწავლო პლატფორმა „Kahoot“-ზე არსებულ ონლაინტესტზე წვდომის მოსაპოვებლად ისარგებლეთ შემდეგი ბმულით: <https://create.kahoot.it/share/discussion-guide-asia-region-intimate-partner-violence-20230103/a87e1cf1-cd66-45d0-87cb-8831ebfd063c>

იხილეთ ონლაინტესტში შესული კითხვები - სწორი პასუხები აღნიშნულია **ნარინჯისფრად**.

1. [კითხვა] რომელია ჯანსაღი ურთიერთობის მახასიათებლები? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი.
  - ა. ნდობა
  - ბ. ეჭვიანობა
  - გ. პატივისცემა
  - დ. კომუნიკაცია
2. [მართალია თუ მცდარი] მისაღებია, თუ ადამიანი ყველგან თან დაჰყვება თავის პარტნიორს, სადაც არ უნდა წავიდეს იგი, და არასდროს ტოვებს მას მარტო. ეს მათი ზრუნვის გამოხატულებაა. **მცდარია, ეს არის არაჯანსაღი ქცევა და ასევე ითვლება შევიწროებად.**
3. [კითხვა] რა ქცევები ითვლება ემოციურ შევიწროებად? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი.
  - ა. ყვირილი
  - ბ. მეგობრების წინაშე ვინმეს დამცირება
  - გ. ფსიქოლოგიური შევიწროება
4. [კითხვა] რომელი ქცევა შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ადამიანი შევიწროებას განიცდის ურთიერთობაში?
  - ა. ერთად მეცადინეობა
  - ბ. საყვარელი მუსიკებისა და სიმღერების ჩამონათვალის ერთმანეთისთვის გაზიარება და ფილმების ერთად ყურება
  - გ. ვინმეს იძულება გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას არ სურს
  - დ. უთანხმოება
5. [მართალია თუ მცდარი] ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა არასოდეს არის ამ ძალადობის მსხვერპლის ბრალი. **მართალია**

## დამატებითი მასალა

- ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში II ნაწილი- <http://forteachers.ge/wp-content/uploads/2019/02/A4-2-New.pdf>
- სექსუალური ძალადობა (მშობლებისათვის)-<http://forparents.ge/resursebi/seqsualuri-zaladoba-mso/>
- არაჯანსაღი ურთიერთობები- <http://forparents.ge/informacia-temis-mixedvi/urtiertobebi/arajansari-urtiertobebi/>